ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №6.2.18.16/10/002

ქ. თბილისი 15 იანვარი 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის - გელა არჩვაძის სახით და, მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი - გიორგი იაშაღაშვილი, პ/ნ 01017048549, მისამართი: ტაბახმელა (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 96 სოციალურად დაუცველ პირთა ოჯახისთვის (იხ. თანდართული სია) ზამთრის პერიოდისთვის მისაწოდებელი საწვავი ხის მასალის (შეშის) გადაზიდვა (ოჯახზე 2 მ³).**
2.2 შესყიდვის საშუალება – **გამარტივებული შესყიდვა**.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **3000,0** (სამიათასი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.
2.4 კლასიფიკატორის კოდი - **63122000.**
2.5 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2016 წლის 01 თებერვალი**.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი (იხ. დანართი).**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე - ირაკლი ქუთათელაძე და მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ნატო მებაღიშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირი).
6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.3 ხელშეკრულების 8.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და ხელშეკრულება ჩაითვლება შეუსრულებლად.
8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
8.5 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებითმ რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.ღირებულების შეცვლის პირობები

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
13.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
13.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 204521954
მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი გიორგი იაშაღაშვილი,
პ/ნ 01017048549,
მის: ტაბახმელა
სს „ლიბერთი ბანკი"
ა/ა GE14 LB 0111 1549 5397 1000
ბანკის კოდი LBRTGE22

გელა არჩვაძე

გიორგი იაშაღაშვილი

№6.2.18.16/10/002 ხელშეკრულების
დანართი

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირთა სია, რომელთაც მიეწოდებათ საწვავი ხის მასალა (შეშა)

N	სახელი, გვარი	მისამართი
1	2	3
1.	გიორგი კოკონაშვილი	ოქროყანა გურამიშვილის #24
2.	თამარა ალლახვერდიანი	ოქროყანა წერეთლის ქ.#15
3.	მიხეილ ჩაჩუა	თბილისი, რ. თაბუკაშვილის #8
4.	ლევანი ზაქარაია	ოქროყანა აგარაკები "ბ' ზ. კორ.73
5.	არკადი კოლელიშვილი	ოქროყანა ვაჟა-ფშაველას ქუჩა
6.	ბადრი კახუაშვილი	ოქროყანა ვაჟა-ფშაველას #5
7.	მზევინარი აფციაური	ოქროყანა
8.	მანანა ლაშხი	თბილისი, პ.იაშვილის ქ.#4
9.	ომარ ჟორჟოლიანი	თბილისი, აბაკელიას ქ. 7
10.	ნათია ბასილაძე	თბილისი, ყიფიანის ქ. 9
11.	მაია ნიჟარაძე	თბილისი, ათონელის #27
12.	მედიკო ცალხელიშვილი	ოქროყანა მ.გელოვანის მე-5 ჩიხი #1
13.	ინგა გიკაშვილი	ოქროყანა ა.ზონა 45
14.	მაყვალა ბარაჩაშვილი	ოქროყანა
15.	ეკატერინა თირქია	თბილისი, მთაწმინდის ქ. #7
16.	მარიამ პეტროსოვი	თბილისი, კ. მესხის #6
17.	როლანდი ხორავა	თბილისი, მთაწმინდის მე-2 შეს.13
18.	ლალი ჩხუტიაშვილი	ოქროყანა გურამიშვილის #12 ა. ზონა
19.	ვაჟა შავერდაშვილი	ოქროყანა გურამიშვილის ჩიხი #1 ბ.16
20.	ანაიდა კაზარიანი	თბილისი, რ. ლაღიძის ქ. 12
21.	ლამარა ტყაბლაძე	თბილისი, ბოლო აღმართის #19
22.	გელა პაპალაშვილი	თბილისი, ბროსეს ქ.12
23.	ზაური ქურდაძე	თბილისი, ყიფიანის ქ.24
24.	იოსებ ამირანაშვილი	ოქროყანა თბილისის ქ.#13
25.	ჟანა სამხარაძე	თბილისი, პ.იაშვილის 4
26.	თამარ მასხარაშვილი	თბილისი, პ. იაშვილის ქ. 4
27.	ციცინო მათიაშვილი	ოქროყანა ციურიხის ქ.#7
28.	თეა აზარიაშვილი	თბილისი, პ. იაშვილის ქ. 4
29.	ნატო ნოდარიშვილი	თბილისი, პ. იაშვილის ქ. 4
30.	თამელი არეშიძე	ოქროყანა ციურიხის ქ. N 6
31.	გიორგი მებაღიშვილი	ოქროყანა, თბილისის ქ. 15
32.	ლერი მებაღიშვილი	ოქროყანა, თბილისის ქ.15
33.	ასმათი ელანიძე	ოქროყანა, სამხედრო ქალაქი, კოტეჯი # 8
34.	ლეილა პოლენოკი	თბილისი, ბესიკის ქ. 17/8
35.	დალი კაციტაძე	თბილისი, ათონელის 27

1	2	3
36.	ელენე დიღმელაშვილი	ოქროყანა, წერეთლის ქ. 4
37.	ვენერა მათიაშვილი	ოქროყანა, წერეთლის ქ. 38
38.	იამზე რუბაშვილი	თბილისი, ათონელის ქ.#27
39.	თინათინი ჩოხელი	ოქროყანა ციურიხის ქ.#3
40.	ზინაიდა კარელიძე	ოქროყანა,გოგებაშვილის #16
41.	მათე ცალუღელაშვილი	ოქროყანა, "ა" ზონა,კორ.20,ბ.2
42.	ზაური ქურდაძე	ოქროყანა ზ"გ" ზონა
43.	გიული ფასურიშვილი	ოქროყანა, წერეთლის ქ. 21
44.	ზოია ქარსელაძე	ორქოყანა, "გ" ზონა, აგარაკი #77
45.	ზაზა ამზაშვილი	თბილისი, ალ.ჭავჭავაძის 9
46.	მერაბი მებაღიშვილი	ოქროყანა, წერეთლის ქ. 15
47.	ხათუნა ბაღაშვილი	ოქროყანა, თბილისის მე-6 ჩიხი ქ. # 3
48.	სოფიო მებაღიშვილი	ოქროყანა,თბილისის ქ.#13
49.	ეკა თენეიშვილი	ოქროყანა, ფუნიკულიორის ზემო პლატო
50.	ნაზი მათიაშვილი	ოქროყანა წერეთლის ქ. #28
51.	მარინე მოსიაშვილი	თბილისი, პ.იაშვილის 4
52.	ნოდარ ოქრუაშვილი	თბილისი, ბოლო აღმართის 6
53.	სოფიო ოქრუაშვილი	თბილისი, ბოლო აღმართის 12
54.	ნანული შარვაშიძე	თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.2
55.	ნანა ძანძავა	თბილისი, რ. ლაღიძის #12
56.	გია ბერიძე	თბილისი, გ.ათონელის ქ. #27
57.	ეთერი ლაღიძე	თბილისი, ათონელის ქ. 27
58.	ნანა შეყილაძე	ოქროყანა,ჭავჭავაძის #8
59.	მარინე კიკნაძე	თბილისი, პ.იაშვილის ქ.#4
60.	ნანა კახაბრიშვილი	ოქროყანა, გურამიშვილის ქ. 10
61.	მარიამ კახაბრიშვილი	ოქროყანა, გურამიშვილის ქ. 6
62.	ომარი მათიაშვილი	ოქროყანა ა ზონა აგარაკის 18
63.	მიხეილ მებაღიშვილი	ოქროყანა "ა" ზონა აგ. 18
64.	ნინელი მებაღიშვილი	ოქროყანა თბილისის 19
65.	ირა ამირანაშვილი	ოქროყანა, თბილისის ქ. 4 ა
66.	სოსო ამირანაშვილი	ოქროყანა, თბილისის ქ.4
67.	მარინე გაბროსვილი	ოქროყანა თბილისის ქ #14
68.	მერაბი გელაშვილი	თბილისი, რ.თაბუკაშვილის #27
69.	მარინე გოგალაძე	თბილისი, პ. იაშვილის ქ. #4
70.	ნინო ბოცვაძე	თბილისი, პ. იაშვილის ქ. #4
71.	ნანული მაჩხანელი	ოქროყანა, წერეთლის 25
72.	მაყვალა თვალიაშვილი	კოჯორი, ქოროღლის უბანი
73.	ნანი თოლორდავა	თბილისი, ათონელის ქ. 27
74.	ქეთევან დიღმელაშვილი	ოქროყანა,თბილისის ქ.#11
75.	ალა წოწორია	თბილისი, ბროსეს ქ. #5
76.	ელენე კუჭუაშვილი	ოქროყანა 1 მაისის ქ.15
77.	ეთერ დავითაძე	თბილისი, ათონელის #27

1	2	3
78.	ზინა მანდიკი	თბილისი, კოჯრის #7
79.	ნაზი ბუჯიაშვილი	თბილისი, რიწის 11
80.	თამარი ჭითანავა	თბილისი, ათონელის 27
81.	ქეთევანი ბოხუა	თბილისი, ზოლო აღმართის ქ. #10
82.	ნანა ყიფშიძე	თბილისი, გ.ათონელის 27
83.	ხათუნა ფოლადაშვილი	თბილისი, გ.ათონელის 27
84.	მაყვალა ბაძაღუა	თბილისი, გ.ათონელის 27
85.	მარიამ ალიაშვილი	თბილისი, გ.ათონელის 27
86.	ეკატერინე თუხარელი	თბილისი, გ.ათონელის 27
87.	ნინო არუნაშვილი კარიმი	თბილისი, გ.ათონელის 27
88.	მანანა ჩუბინიძე	თბილისი, გ.ათონელის 27
89.	დოდო ქსნელაშვილი	თბილისი, გ.ათონელის 27
90.	ბესიკ ახობაძე	ოქროყანა ა.ხორავას ქ. N 1
91.	ირმა ჯიაძე	თბილისი, გ.ათონელის 27
92.	ზაალ დალაქიშვილი	თბილისი, ლ.ასათიანის ქ.№24ა
93.	დავითი კიღურაძე	თბილისი, ყიფიანის ქ.№17
94.	შორენა ჩაჩანიძე	თბილისი, გ.ათონელის 27
95.	ნონა მეტრეველი	თბილისი, გ.ათონელის 27
96.	დალი კონჯარია	თბილისი, გ.ათონელის 27

შემსყიდველი:

გელა არჩვაძე

მიმწოდებელი:

გიორგი იაშაღაშვილი